Capadur GreyWood

ექსტერიერში გამოსაყენებელი, წყალდისპერსიული ხის ლაზური, პიგმენტების მაღალი შემცველობით. შერჩეული ნაცრისფერი ტონალობების მეშვეობით ახდენს ზედაპირის ბუნებრივი დაძველების იმიტაციას.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	შერჩეული მდიდრული ნაცრისფერი ტონალობები, ხის ზედაპირს ანიჭებს ბუნებრივად და ერთგვაროვნად განაცრისფრების ეფექტს, რომელიც ბუნებაში, ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში მრავალი წლის მანძილზე დაძველებით მიიღწევა. უპირატეს გამოყენების არეს წარმოადგენენ ხის ფასადები, რომლებმაც უნდა შეინარჩუნონ ბუნებრივი იერსახე. ასევე შესაძლებელია მასიური ხის კომპონენტების, რომლებიც ინარჩუნებენ (კარი და ფანჯარა) და საშუალოდ ინარჩუნებენ ზომებს (დარაბები, ჭიშკრები, და სხვ.) და არასტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების (ღობე, ყავარი, აივნის მოაჯირი, პერგოლა და ა.შ.) დასაფარად. მხოლოდ ექსტერიერში გამოსაყენებლად! (ფანჯრების და კარების შიდა მხარე წარმოადგენს გამონაკლისს). Capadur GreyWood-ი აღჭურვილია სოკოსა და წყალმცენარეებისაგან დამცავი აპკით. ბიოლოგიური დატვირთვებიდან გამომდინარე, უკიდურესად მაღალი რისკის მქონე ხის მასალებზე (მაგ. ფიჭვის ფანერა, OSB-ს ფილები) უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლებელია სოკოების ხელახალი ინვაზია საექსპლუატაციო ვადის გასვლამდე. არ გამოიყენება ნიადაგთან და წყალთან მუდმივი კონტაქტის მქონე ზედაპირებზე.
თვისებები	■ მდიდარი ნაცრისფერი ტონალობები პერლამუტრის პიგმენტების მეშვეობით ■ საუკეთესო დაცვა ულტრაიისფერი სხივებისაგან, ამრეკლავი პიგმენტების მეშვეობით ■ სოკოებისაგან დამცავი აპკით ■ მარტივად განახლებადი თხელფენოვანი ლაზური ■ წყალდისპერსიული ■ არა წებვადი ■ შეესაბამება VOC წესებს (2010) ■ არ იკეთებს ნაღვენთებს
პროდუქტის ბაზა	აკრილის დისპერსია
შეფუთვა	**750მლ, 5ლ.**
ფერი	ColorExpress-სადგურების მეშვეობით შესაძლებელია შეფერადდეს შემდეგ ფერებში: Tyrol, Toskana, Nordic, Forest, Outback, Island. ფერი და მბზინვარება დამოკიდებულია დასამუშავებელი ხის ზედაპირზე, ფენების და მასალის რაოდენობაზე.
სიპრიალის ხარისხი	აბრეშუმისებრი-მბზინვარე
შენახვის პირობები	გრილ, ყინვისადან დაცულ პირობებში, ორიგინალურ შეფუთვაში შენახვისას ვარგისია 24 თვის მანძილზე.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლ. 1,0 გ/სმ^3 .

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა, მასზე არ უნდა იყოს ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებები.
სტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს, ხოლო ნაწილობრივ და არასტაბილური ზომის მქონე ელემენტების 15%-ს.
გაითვალისწინეთ მერქნის დაცვის კონსტრუქციული პრინციპები. ისინი წარმოადგენენ წინაპირობას საფარი მასალებით მერქნის ხანგრძლივი დაცვისათვის. ფილების მაგვარი მასალების (მაგ. მასიური ხის ფილები, საავეჯე ფანერის ფილები) დაფარვამდე გაითვალისწინეთ BFS-ინსტრუქცია Nr. 18 აბზ. 2.2.3 ff.

მითითება ლაზურით დაფარული ხის ზედაპირების მოვლისათვის:
ლაზურით დაფარული ზედაპირების იერსახის გრძელვადიანი შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ რეგულარული მოვლის შემთხვევაში. რეკომენდაციები მოვლის თაობაზე იხილეთ BFS-ინსტრუქცია Nr. 18, დანართ C-ში.

ზედაპირის მომზადება

ახალი ხის ზედაპირები:
გლუვი ხის ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გასუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). გაიჟღინთოს Capacryl Holz SchutzGrund-ით.

ძველი ხის ზედაპირები:
განაცრისფრებული, გამოფიტული ზედაპირი დამუშავდეს ზუმფარის ქაღალდით, ჯანმრთელ, მზიდუნარიან მერქნამდე. გაიწმინდოს საფუძვლიანად. გაიჟღინთოს Capacryl Holz SchutzGrund-ით.

ხის ზედაპირები დანაფარებით:
არამზიდი დანაფარები მთლიანად მოშორდეს. სოკოვანი დაბინძურების მქონე ან წყალმცენარიანი ზედაპირები საფუძვლიანათ მოირეცხოს წყლის ჭავლით. ზედაპირი დაამუშავეთ Capatox-ით. გაიჟღინთოს Capacryl Holz SchutzGrund-ით. მყარი დანაფარები დამუშავდეს ზუმფარის ხაღალდით, გაიწმინდოს და დაიგრუნტოს მთლიანად Capacryl Haft-primer-ით განახლებად ტონალობაში (Caparol 3D/Palazzo 205). შუალედური და საბოლოო ფენა Capadur GreyWood-ით სასურველ ტონალობაში (მაზერირების ტექნიკით).

დატანის მეთოდები

მასალის მომზადება:
Capadur GreyWood-ი არ საჭიროებს გამათხელებელს. გამოყენებამდე კარგად ამოურიეთ. ფუნჯით დატანისას გამოიყენეთ აკრილის ფუნჯი ნატურალური და პოლიესტერის ბეწვის ნარევით (მაგ. Orelmix). გორგოლაჭით დატანისას გამოიყენეთ მოკლებეწვიანი პოლიამიდის გორგოლაჭი და შემდგომ ფუნჯი. Capadur GreyWood-ი აღჭურვილია სოკოებისაგან და წყალმცენარეებისაგან დამცავი აპკით, რის გამოც მისი მიფრქვევის მეთოდით დატანა შესაძლებელია მხოლოდ ქარხნული წესით.

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გაჟღენთვა	გრუნტი	შუალედური ფენა	საბოლოო ფენა
დაუფარავი ხის ელემენტები	მხოლოდ ექსტერიერი[1)]	იხ. ზემოთ და BFS Nr. 18	Capacryl Holzschutz-Grund	Capadur GreyWood	საჭიროების შემთხვევაში Capadur GreyWood	Capadur Grey-Wood
ხის ელემენტები საღებავის მზიდი დანაფარით	მხოლოდ ექსტერიერი[1)]	იხ. ზემოთ და BFS Nr. 18	-	Capacryl Haftprimer განახლებადი ტონალობით ან Palazzo 205	-	

1) ფანჯრებისა და კარების შიდა მხარე მიეკუთვნება ექსტერიერს.

ხარჯი

დაახლ. 70-100 მლ/მ^2, ერთ ფენაზე. ხის ზედაპირის თვისებები (სიგლუვე, შეწოვის ხარისხი და ა.შ.) გავლენას ახდენს მასალის ხარჯზე. ზუსტი ხარჯის განსაზღვრა ხდება საცდელი დატანით.

გამოყენების პირობები

მასალის, ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა: არანაკლებ +8 °C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში*	შეხებით მშრალი	მომდევნო ფენის დატანისთვის მზად
საათები	1,5	4

უფრო დაბალი ტემპერატურის, მაღალი ტენიანობის და სქლად დატანის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მოარიდეთ ბავშვებს! მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზეგავლენით. მუშაობისას იზრუნეთ საკმარის განიავებაზე. გადაყლაპვისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და წარუდგინეთ შეფუთვა ან ეტიკეტი, რადგანაც პროდუქტმა შესაძლოა დააზიანოს კუჭ-ნაწლავის ფლორა. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. დაიტანეთ მხოლოდ ფუნჯით ან გორგოლაჭით. **შეიცავს:** 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონს, 3-(3-(2H-ბენზოტრიაზოლ-2-ილ)-5-ტერტ-ბუტილ-4-ჰიდროქსიფენილ)პროპიონილ-x-ჰიდროქსიპოლი(ოქსიეთილენ)-ს; 3-(3-(2H-ბენზოტრიაზოლ- 2-ილ)-5-ტერტ-ბუტილ-4-ჰიდროქსიფენილ)პროპიონილ-x-3-(3-(2H-ბენზოტრიაზოლ-2-ილ)- 5-ტერტ-ბუტილ-4-ჰიდროქსიფენილ)პროპიონილოქსიპოლი (ოქსიეთილენ)-ს, 3-ლოდ-2-პროპინილბუტილკარბამატს, (1,2,2,6,6-პენტამეთილ-4-პიპერიდილ) სებეკატს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. შეფუთვა პროდუქტის თხევადი ნარჩენით ჩააბარეთ ძველი ლაქების / საღებავების მიმღებ პუნქტში, ხოლო მყარი ნარჩენი როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC).	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/e): 130 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 50 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	M-KH01F
შემადგენლობა	პოლიურეთან-აკრილის ფისი, მინერალური პიგმენტები, წყალი, გლიკოლი, ეთერი, ადიტივები, კონსერვანტები (Methyl-/Benzisothiazolinon), აპკის წარმომქმნელი (Iodpropinylbutylcarbamat).
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge